

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

განცხადება ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ახალი და შეცვლილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები	12
5. ამონაგები	13
6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13
7. რეალიზაციის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	13
8. ადმინისტრაციული ხარჯები	14
9. ფინანსური დანახარჯები	14
10. სხვა ხარჯი/შემოსავალი	14
11. მოგების და სხვა გადასახადები	14
12. ძირითადი საშუალებები	15
13. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	16
14. მარაგები	17
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
16. ფულადი სახსრები და საბანკო ნაშთები	19
17. სააქციო კაპიტალი	19
18. ნასესხები სახსრები	19
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
20. ფინანსური ინსტრუმენტები	21
21. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	25
22. პირობითი ვალდებულებები	26
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	27

მმართველობითი ანგარიშგება

28-32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „იბერია რეფრეშმენტის“ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „იბერია რეფრეშმენტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხები

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება შემოწმდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2023 წლის 4 სექტემბერს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

„სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა“. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)]

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2024 წლის 31 ივლისი

თბილისი, საქართველო

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

განცხადება ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „იბერია რეფრეშმენტსის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და სააქციო კაპიტალში ცვლილებებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და გამოყენება;
- ▶ ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, წარმოდგენა იმგვარად, რომ ასახავდეს რელევანტურ, საიმედო, შესადარის და გასაგებ მონაცემებს;
- ▶ დამატებითი განმარტებების წარმოდგენა, როდესაც შესაბამისობა ფასს-ის გარკვეულ მოთხოვნებთან არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებლებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენაზე კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსური საქმიანობის შედეგებზე;
- ▶ კომპანიის უნარის შეფასება, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის წარმოდგენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- ▶ მმართველობის ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- ▶ კომპანიის ფარგლებში შიდა კონტროლის ეფექტური და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ▶ ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც საკმარისია იმისათვის, რომ ასახონ და განმარტონ კომპანიის გარიგებები და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგინონ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შესაბამისობაში იყოს ფასს-თან;
- ▶ საქართველოს კანონმდებლობითა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით სავალდებულო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება;
- ▶ კომპანიის აქტივების დასაცავად გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელი ღონისძიებების გატარება; და
- ▶ თაღლითობის შემთხვევებისა და სხვა დარღვევების პრევენცია და აღმოჩენა.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ხელმძღვანელობამ 2024 წლის 31 ივლისს დაამტკიცა:

ხელმძღვანელობის სახელით:

გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

განცხადება ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „იბერია რეფრეშმენტსი“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საექციო კაპიტალში ცვლილებებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და გამოყენება;
- ▶ ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, წარმოდგენა იმგვარად, რომ ასახავდეს რელევანტურ, საიმედო, შესადარის და გასაგებ მონაცემებს;
- ▶ დამატებითი განმარტებების წარმოდგენა, როდესაც შესაბამისობა ფასს-ის გარკვეულ მოთხოვნებთან არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებლებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენაზე კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსური საქმიანობის შედეგებზე;
- ▶ კომპანიის უნარის შეფასება, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის წარმოდგენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- ▶ მმართველობის ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- ▶ კომპანიის ფარგლებში შიდა კონტროლის ეფექტური და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ▶ ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც საკმარისია იმისათვის, რომ ასახონ და განმარტონ კომპანიის გარიგებები და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგინონ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შესაბამისობაში იყოს ფასს-თან;
- ▶ საქართველოს კანონმდებლობითა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით სავალდებულო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება;
- ▶ კომპანიის აქტივების დასაცავად გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელი ღონისძიებების გატარება; და
- ▶ თაღლითობის შემთხვევებისა და სხვა დარღვევების პრევენცია და აღმოჩენა.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ხელმძღვანელობამ 2024 წლის 31 ივლისს დაამტკიცა:

ხელმძღვანელობის სახელით:

გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფერმენტსი“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (რეკლასიფი- ცირებული, მე-3 შენიშვნა)
ამონაგები	5	117,949	109,311
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(89,513)	(81,641)
საერთო მოგება		28,436	27,670
რეალიზაციის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	7	(18,916)	(17,698)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(5,750)	(5,328)
ფინანსური დანახარჯები	9	(3,211)	(2,935)
ფინანსური შემოსავალი		51	-
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	15	62	(439)
საკუთრო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა		(471)	5,428
სხვა შემოსავალი, წმინდა	10	158	708
მოგება დაზღვრამდე		359	7,406
მოგების გადასახადის ხარჯი	11	-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		359	7,406

ხელმძღვანელობის სახელით:

გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (რეკლასიფი- ცირებული, მე-3 შენიშვნა)
ამონაგები	5	117,949	109,311
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(89,513)	(81,641)
საერთო მოგება		28,436	27,670
რეალიზაციის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	7	(18,916)	(17,698)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(5,750)	(5,328)
ფინანსური დანახარჯები	9	(3,211)	(2,935)
ფინანსური შემოსავალი		51	-
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	15	62	(439)
საკუროსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა		(471)	5,428
სხვა შემოსავალი, წმინდა	10	158	708
მოგება დაბეგვრამდე		359	7,406
მოგების გადასახადის ხარჯი	11	-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		359	7,406

ხელმძღვანელობის სახელით:

გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფერემენტსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

		2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>			
ძირითადი საშუალებები	12	19,013	13,661
აქტივის გამოყენების უფლება	13	5,161	5,871
არამატერიალური აქტივები		173	181
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,347	19,713
<i>მოკლევადიანი აქტივები:</i>			
მარაგები	14	13,906	13,003
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	14,107	14,042
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	2,530	5,109
სულ მოკლევადიანი აქტივები		30,543	32,154
სულ აქტივები		54,890	51,867
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>საკუთარი კაპიტალი:</i>			
სააქციო კაპიტალი	17	55,000	55,000
დაგროვილი ზარალი		(54,473)	(54,832)
სულ საკუთარი კაპიტალი		527	168
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები:</i>			
სესხები და ნასესხები სახსრები	18	23,828	25,810
საიჯარო ვალდებულებები	13	2,965	3,562
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		26,793	29,372
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები:</i>			
სესხები და ნასესხები სახსრები	18	11,704	6,987
საიჯარო ვალდებულებები	13	1,828	1,387
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	14,038	13,953
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		27,570	22,327
სულ ვალდებულებები		54,363	51,699
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		54,890	51,867

ხელმძღვანელობის სახელით:

გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფერენსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>			
ძირითადი საშუალებები	12	19,013	13,661
აქტივის გამოყენების უფლება	13	5,161	5,871
არამატერიალური აქტივები		173	181
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,347	19,713
<i>მოკლევადიანი აქტივები:</i>			
მარაგები	14	13,906	13,003
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	14,107	14,042
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	2,530	5,109
სულ მოკლევადიანი აქტივები		30,543	32,154
სულ აქტივები		54,890	51,867
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>საკუთარი კაპიტალი:</i>			
სააქციო კაპიტალი	17	55,000	55,000
დაგროვილი ზარალი		(54,473)	(54,832)
სულ საკუთარი კაპიტალი		527	168
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები:</i>			
სესხები და წასესხები სახსრები	18	23,828	25,810
საიჯარო ვალდებულებები	13	2,965	3,562
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		26,793	29,372
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები:</i>			
სესხები და წასესხები სახსრები	18	11,704	6,987
საიჯარო ვალდებულებები	13	1,828	1,387
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	14,038	13,953
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		27,570	22,327
სულ ვალდებულებები		54,363	51,699
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		54,890	51,867

ხელმძღვანელობის სახელით:

გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასარულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55,000	(62,238)	(7,238)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	7,406	7,406
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55,000	(54,832)	168
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	359	359
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55,000	(54,473)	527

ხელმძღვანელობის სახელით:

გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფერშმენტსი“


საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასარულებული წლისთვის


(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55,000	(62,238)	(7,238)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,406	7,406
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55,000	(54,832)	168
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	359	359
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55,000	(54,473)	527

ხელმძღვანელობის სახელით:


გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი


ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფერმენტსი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

		2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		359	7,406
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7, 8	5,248	4,867
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების დინამიკა	8, 15	(62)	439
მარაგების მოძველება		1,297	661
ფინანსური დანახარჯები	9	3,211	2,867
წმინდა საკურსო ზარალი / (შემოსულობა)		471	(5,428)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		10,524	10,812
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე			
საბრუნავი კაპიტალის ცვლილების დინამიკა:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		46	386
მარაგების ზრდა		(2,200)	(5,057)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		52	1,469
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		8,422	7,610
გადახდილი პროცენტი		(2,123)	(2,558)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		6,299	5,052
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(8,503)	(2,556)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(8,503)	(2,556)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები	18	2,847	20,872
ნასესხები სახსრების დაფარვა	18	(1,322)	(18,214)
გადახდილი იჯარები	18	(1,612)	(2,030)
(საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(87)	628
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება) ზრდა		(2,291)	3,124
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	5,109	2,515
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი სახსრების ნაშთზე		(288)	(530)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	2,530	5,109

ხელმძღვანელობის სახელით:

გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი


სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

		2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		359	7,406
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7, 8	5,248	4,867
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების დინამიკა	8, 15	(62)	439
მარაგების მოძველება		1,297	661
ფინანსური დანახარჯები	9	3,211	2,867
წმინდა საკუროს ზარალი / (შემოსულობა)		471	(5,428)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		10,524	10,812
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე			
საბრუნავი კაპიტალის ცვლილების დინამიკა:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		46	386
მარაგების ზრდა		(2,200)	(5,057)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		52	1,469
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		8,422	7,610
გადახდილი პროცენტი		(2,123)	(2,558)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		6,299	5,052
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(8,503)	(2,556)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(8,503)	(2,556)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები	18	2,847	20,872
ნასესხები სახსრების დაფარვა	18	(1,322)	(18,214)
გადახდილი იჯარები	18	(1,612)	(2,030)
(საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(87)	628
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება) ზრდა		(2,291)	3,124
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	5,109	2,515
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი სახსრების ნაშთზე		(288)	(530)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	2,530	5,109

ხელმძღვანელობის სახელით:



გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი



ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის განმარტების შესაბამისად. კომპანია დაფუძნდა 2001 წლის სექტემბერში გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდით 204968730. მისი იურიდიული მისამართია თეთრი ხევის ჰესი, 0109, ორხევის დასახლება, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გაზიანი უალკოჰოლო სასმელების წარმოება და გაყიდვა PepsiCo, Inc.-თან გაფორმებული ფრანჩიზული ხელშეკრულების საფუძველზე. გარდა ამისა, კომპანია ახორციელებს PepsiCo Inc.-ის რამდენიმე პროდუქტის იმპორტს. კომპანია პროდუქტებს ყიდის საქართველოში თავისი საკუთარი დისტრიბუციის არხების მეშვეობით.

საწარმოო პროცესი მიმდინარებს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ქარხანაში.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგი აქციონერები ფლობდნენ კომპანიის მიერ გამოშვებულ აქციებს:

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შპს „ELSU Inc.“	95.53%	95.53%
ალმაფარ აჰმად აბდულა ალი	4.47%	4.47%
სულ	100.00%	100.00%

კომპანიას აკონტროლებს ინდივიდუალური ინვესტორების ჯგუფი, რომელთაგან თითოეულს არ აქვს საბოლოო კონტროლი მასზე. დაფინანსების უდიდესი ნაწილი მოდის აქციების უმეტესი ნაწილის მფლობელ აქციონერზე ნასესხები სახსრების სახით. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

ეს ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად დამტკიცდა 2024 წლის 31 ივლისს.

2. ახალი და შეცვლილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

კომპანიამ პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის (თუ სხვა რამე არ არის მითითებული). ბასს 1-ში შესული ცვლილებებისა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაციის გამოკლებით, როგორც ამ შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა სტანდარტი ან ცვლილება არ მოქმედებს:

- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია.

შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია „არსებითობის განსჯა“ შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შეახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

2. ახალი და შეცვლილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება (გაგრძელება)

კომპანიამ გადახედა ამ შენიშვნაში გამჟღავნებულ ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გადახედული არსებითი ინფორმაცია, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ მიუსადაგა კომპანიამ ფასს-ის მოთხოვნები თავის გარემოებებს და ძირითადად მოიცავს იმ მუხლებს, სადაც კომპანიამ არჩია ფასს-ის მიერ დაშვებული ვარიანტებიდან მინიმუმ ერთი სააღრიცხვო პოლიტიკა, მუხლებს, რომლებიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განსჯაზე ან შეფასებებზე და არ მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ იმეორებს ან აჯამებს ფასს-ის მოთხოვნებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკებს არაარსებითი საკითხების შესახებ.

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ▶ სააღრიცხვო შეფასებების განმარტება – ბასს 8-ის შესწორებები
- ▶ ერთი გარიგებიდან წარმოდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ცვლილებები ბასს 12-ში
- ▶ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე და აგრძელებს მათი გავლენის შეფასებას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში: საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად;

2020 წლის იანვარში და 2022 წლის ოქტომბერში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას.
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე

გარდა ამისა, ახალი მოთხოვნის მიხედვით, საჭიროა ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც სასესხო ხელშეკრულებიდან წარმოდგარი ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება და საწარმოს უფლება, გადაავადოს სესხის დაფარვა დამოკიდებულია თორმეტი თვის განმავლობაში სამომავლო პირობების შესრულებაზე.

ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად. კომპანია ამ ეტაპზე აფასებს ცვლილებების ეფექტს თავის მიმდინარე პრაქტიკაზე და იმას, არსებული სესხები საჭიროებს თუ არა რესტრუქტურირაციას.

- ▶ ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში.

2023 წლის მაისში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ გაიგონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკის მოცულობაზე. ცვლილებები ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება.

არ არის მოსალოდნელი, რომ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ მოამზადა იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ, რაც გულისხმობს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და საქმიანობას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში.

2024 წელს კომპანიამ ხელი მოაწერა 5-წლიან ჩამოსხმის ექსკლუზიური ნებართვის ხელშეკრულებას და ბიზნესის განვითარების ხელშეკრულებას PepsiCo-სთან, რაც უზრუნველყოფს PepsiCo-სთან პარტნიორობის მინიმუმ 5 წლით გაგრძელებას. ამავდროულად, სამომავლო მოთხოვნისა და კომპანიის ამბიციების დასაკმაყოფილებლად, 2024 წლის ივნისში კომპანიამ დასტური მიიღო მშობელი საწარმოსგან ახალი ქარხნის მშენებლობის დაფინანსების თაობაზე, რომლის მთლიანი მოსალოდნელი ინვესტიცია 26 მილიონი აშშ დოლარია (როგორც საკუთარი, ისე მოზიდული კაპიტალის ჩათვლით). ახალი ქარხნის მშენებლობა იგეგმება ნატახტარის მიდამოში, ბუნებრივი წყლის რესურსების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გამო.

ხელმძღვანელობამ მშობელი საწარმოსგან მიიღო წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მშობელ საწარმოს განზრახული აქვს კომპანიისთვის საკმარისი სახსრების მიწოდება, რათა კომპანიას საშუალება მისცეს, გააგრძელოს ჩვეულებრივი საქმიანობა ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ მშობელ საწარმოსგან საკმარისი ფულადი სახსრები აქვთ იმისათვის, რომ კომპანიას ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინონ საჭიროების შემთხვევაში.

გარდა ამისა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის მოკლევადიანი აქტივები მის მოკლევადიან ვალდებულებებს 2,973 ლარით აღემატებოდა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის წმინდა მოგება და საოპერაციო ფულადი ნაკადები პროცენტის გადახდამდე შეადგენდა 359 ლარს და 8,422 ლარს, შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას შეუძლია საოპერაციო საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

მომზადების საფუძველი. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. ყველა თანხა დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ამონაგების აღიარება. გაყიდვების აღიარება ხდება პროდუქტებზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც პროდუქტები მიეწოდება ბითუმად მოვაჭრეს, ბითუმად მოვაჭრეს კონტროლი აქვს პროდუქტების გასაყიდ არხზე და ფასზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბითუმად მოვაჭრის მიერ პროდუქტების მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც პროდუქტები დაიტვირთება კომპანიის საწყობში, მოძველებისა და დაკარგვის რისკები ბითუმად მოვაჭრეს გადაეცემა, და ბითუმად მოვაჭრე მიიღებს პროდუქტებს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისა და პროდუქტების მიღების პირობების შესაბამისად. კომპანია შესასრულებელ ვალდებულებას ყველა შემდეგი შეთავაზებისთვის აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, რადგან თითოეულ შეთავაზებაში მხოლოდ ერთი შესასრულებელი ვალდებულებაა.

ამონაგების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვის პირობების მიხედვით, ამონაგების ოდენობა მცირდება გამყიდველებისთვის ან გასაყიდი პუნქტებისთვის შეთავაზებული პროდუქტების დაბრუნების, ღირებულებიდან ან დიდი მოცულობიდან გამომდინარე ფასდაკლებებისა და სხვადასხვა სახის ფასდათმობის შედეგად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

უცხოური ვალუტები. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული ოპერაციების აღიარება ხდება ამ ოპერაციების დღეს მოქმედი სავალუტო კურსებით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, იმ კურსებით გადაიყვანება, რომლებიც მოქმედებდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის. არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, არ გადაიყვანება.

საკურსო სხვაობები ფულად მუხლებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, რომლებშიც ისინი წარმოიშვა, გარდა საკურსო სხვაობებისა დაუმთავრებელ მშენებლობასთან დაკავშირებულ უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებზე სამომავლო სარგებლობისთვის, რომლებიც აისახება ამ აქტივების თვითღირებულებაში, როდესაც ისინი მიიჩნევა საპროცენტო ხარჯის კორექტირებად უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ამ ნასესხებ სახსრებზე.

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები წლის ბოლოსთვის, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ამ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის:

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარი/აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/ევრო	2.9753	2.8844

გადასახადები. მოგების გადასახადები აღრიცხულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისთვის. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება მოგების დაბეგვრის არსებულ მოდელში. ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიულ პირზე, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა. შეცვლილი მოდელის მიხედვით, გაუნაწილებელი მოგება დაიბეგრება ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. წინა მოდელის მიხედვით, 15%-იანი საგადასახადო განაკვეთი ვრცელდებოდა კომპანიის დასაბეგრ მოგებაზე განურჩევლად იმისა, მას გაუნაწილებლის სტატუსი ჰქონდა თუ განაწილებულის.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვრცელდება კომპანიაზე. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითი მოგების განაწილებას, მათ შორისაა:

- ▶ განაწილებული მოგება;
- ▶ გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- ▶ უსასყიდლოდ საქონლის/მომსახურების მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა; და
- ▶ საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

განაწილებული მოგების გადასახადის აღიარება ხარჯად ხდება დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის ფასდება იმ თანხის ოდენობით, რომლის საგადასახადო ორგანოებისგან მიღება ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდაა მოსალოდნელი.

ზემოთ აღწერილი განაწილებული მოგების გარდა სხვა დაკისრებული გადასახადი აღირიცხება „საგადასახადო ხარჯების“ სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრის კონცეფციის ცვლილების გამო ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზა“ კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების განმარტება ბასს 12-ის „მოგების გადასახადი“ შესაბამისად, არ მოქმედებს მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. ნაწარმის გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადაიხდება მომხმარებლებისთვის საქონლის მიწოდებისთანავე. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ის საფუძველზე, დღგ-ის ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დღგ-ის აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება ნეტო საფუძველზე. როდესაც იქმნება მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან კომპანია თავის საგადასახადო ნაშთებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2015 წლის 7 დეკემბრით დათარიღებული #407 ბრძანების თანახმად.

ძირითადი საშუალებები. მიწა და შენობა-ნაგებობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება პირობითი ღირებულებით, რაც არის დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2013 წლის 1 იანვარს განსაზღვრული მათი სამართლიან ღირებულებები, გამოკლებული ყოველგვარი შემდგომი დაგროვილი ცვეთა და/ან შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე.

აქტივის გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება მიღებული თანხების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და მათი აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სხვა საოპერაციო შემოსავლის ან ხარჯების მუხლში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ცვეთა გამოანგარიშდება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

შენობები	30 წელი
მანქანა-დანადგარები	2-20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	2-10 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-10 წელი

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოგებაში ან ზარალში.

ინდივიდუალურად შესყიდული არამატერიალური აქტივები. ინდივიდუალურად შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების (1-დან 5 წლამდე) ვადაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას აღიარებს ყველა ამ საიჯარო ხელშეკრულებასთან მიმართებით, რომელშიც გამოდის, როგორც მოიჯარე, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა (იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლებია) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარისა (როგორცაა პლანშეტები და პერსონალური კომპიუტერები, საოფისე ავეჯის მცირე ზომის ერთეულები და ტელეფონები). ამ იჯარების შემთხვევაში, კომპანია საიჯარო გადახდებს აღიარებს, როგორც საოპერაციო ხარჯს იჯარის ვადაზე წრფივი დარიცხვით. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯერ არ გადახდილა, მათი დისკონტირება ხდება კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით.

საიჯარო ვალდებულება ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საიჯარო ვალდებულება შემდგომში ფასდება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რათა ასახოს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით) და საბალანსო ღირებულების შემცირებით, რათა ასახოს შესრულებული საიჯარო გადახდები.

კომპანია საიჯარო ვალდებულებას გადააფასებს (და შეაქვს შესაბამისი კორექტირება მასთან დაკავშირებულ აქტივის გამოყენების უფლებაში), როდესაც:

- ▶ იჯარის ვადა შეიცვალა ან მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების ცვლილება მოხდა, რის შედეგადაც შეიცვალა შესყიდვის ოფციონის აღსრულების შეფასება. ამ შემთხვევაში საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით.
- ▶ საიჯარო ხელშეკრულება მოდიფიცირდება და იჯარის მოდიფიცირება არ აღირიცხება გაცალკევებული იჯარის სახით, რა შემთხვევაშიც ხდება საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასება მოდიფიცირებული იჯარის ვადის მიხედვით, გადასინჯული იჯარის გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით მოდიფიცირების ძალაში შესვლის თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის შეფასების ოდენობას, საწყისი თარიღით ან თარიღამდე შესრულებულ საიჯარო გადახდებს, გამოკლებული ყოველგვარი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები და ყოველგვარი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები. ისინი შემდგომში ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება საიჯარო ვადასა და საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესს. თუ იჯარა საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლებას გადასცემს ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს იმას, რომ კომპანია მოელის შესყიდვის ოფციონის აღსრულებას, შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა ხდება საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთა იწყება იჯარის დაწყების თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლება ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კომპანია ბასს 36-ის გამოყენებით განსაზღვრავს არის თუ არა აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებული და ყოველგვარ აღმოჩენილ გაუფასურების ზარალს აღრიცხავს ისე, როგორც ეს აღწერილია „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში.

მარაგები მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება ფიფოს (პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში) მეთოდით. წმინდა გასაყიდი ღირებულება წარმოადგენს მარაგების სავარაუდო გასაყიდ ფასს, რასაც აკლდება დასრულების ყოველგვარი სავარაუდო დანახარჯი და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შემდეგ მთლიანად ფასდება ან ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, მათი კლასიფიკაციის მიხედვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

საწყისი აღიარებისას კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროს ნაშთს, ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებს, გზაში მყოფ ფულად სახსრებს, ანაზრებს და გასაყიდად ვარგის ფასიან ქაღალდებს, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, რომლებიც ფასდება მათი პირობითი თანხებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- ▶ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება უნდა მოხდეს ზარალის რეზერვის მეშვეობით შემდეგი თანხის ოდენობით:

- ▶ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ანუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტზე საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში შესაძლო დეფოლტის მოვლენების დადგომა (1-ელი სტადია); ან
- ▶ არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ანუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელსაც განაპირობებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი ვადის განმავლობაში ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენა (მე-2 სტადია და მე-3 სტადია)

ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საჭიროა, თუ ამ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საწყისი აღიარების შემდეგ. ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობით შეწონილი საკრედიტო ზარალის სავარაუდო დღევანდელი ღირებულება. ისინი ფასდება, როგორც დღევანდელი ღირებულება სხვაობისა კომპანიისთვის ხელშეკრულებით მიხედვით გადასახდელ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის შეწონვის შედეგად და რომელიც დისკონტირებულია აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები.

ფინანსური ვალდებულებები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ჩათვლით) თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება გარიგების დანახარჯები. შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების დაფარვის, გაუქმების ან ვადის ამოწურვის შემთხვევაში. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

რეკლასიფიკაცია. კომპანიამ მოახდინა შესაბამისი ინფორმაციის რეკლასიფიკაცია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, რათა შესაბამისობაში მოეყვანა მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან, 438 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მანამდე წარმოდგენილი ადმინისტრაციულ ხარჯებში) ცალკე მუხლად ასახვით. განმარტებით შენიშვნები შესაბამისად ჩასწორდა.

4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც აღწერილია მე-3 შენიშვნაში, ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯა, შეფასება და დაშვებების გაკეთება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის სხვა წყაროებიდან. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ეს შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსჯის შედეგად გამოთქმული ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება, გარდა იმ მოსაზრებების, რომელიც შეფასებებს ეყრდნობა (იხ. ქვემოთ) და რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

კომპანია ქმნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგნოზებს, რათა აღრიცხოს სავარაუდო ზარალი, რომელსაც განიცდის იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლები ვერ გადაიხდიან მოთხოვნილ თანხებს ან მომწოდებლები ვერ მიაწვდიან შეთანხმებულ პროდუქტებს ან მომსახურებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავის შეფასებებს აყრდნობს არსებულ საერთო ეკონომიკურ პირობებზე, მოთხოვნების ვადიანობაზე და ავანსების ნაშთებზე, ჩამოწერების გამოცდილებაზე, მომხმარებლის და მომწოდებლის კრედიტუნარიანობაზე და გადახდის პირობების ცვლილებებზე. ცვლილებებმა ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის და მომწოდებლის ფინანსურ მდგომარეობაში შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება. საექვო სესხების რეზერვების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.

4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები (გაგრძელება)

მარაგების წმინდა გასაყიდი ღირებულება

კომპანია აფასებს მარაგების წმინდა გასაყიდი ღირებულებას. კომპანია მარაგების მოძველების ანარიცხს აფასებს ვადის გასვლის თარიღის, ბრუნვისა და ერთეულის მომგებიანობის მეთოდის საფუძველზე. კომპანია მარაგების ყოველი ერთეულისთვის აფასებს მარაგების საბაზრო ღირებულებას საანგარიშგებო თარიღისთვის. მარაგების გაყიდვის დანახარჯების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ყველა ხარჯს, რომლებიც საჭიროა მარაგების გასაყიდად. ეს შეიძლება მოიცავდეს ტრანსპორტირების, რეკლამის, საკომისიოსა და შეფუთვის ხარჯებს.

მარაგების წმინდა გასაყიდი ღირებულების ანარიცხების ოდენობა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 2,754 ლარი (2022 წ.: 3,183 ლარი). იხილეთ მე-14 შენიშვნა.

5. ამონაგები

ქვემოთ მოცემულია განგრძობითი ოპერაციებიდან. კომპანიის წლის ამონაგების ანალიზი:

	2023	2022
ამონაგები ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვებიდან	113,197	104,561
ამონაგები საექსპორტო გაყიდვებიდან	4,752	4,750
სულ	117,949	109,311
	2023	2022
ამონაგები მზა პროდუქციის გაყიდვიდან	54,651	54,126
ამონაგები გადასაყიდად ფლობილი საქონლის გაყიდვიდან	62,814	54,459
ამონაგები სხვა საქონლის გაყიდვიდან	484	726
სულ	117,949	109,311

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2023	2022
საწარმოო მასალები	34,132	34,551
გადასაყიდი მზა პროდუქცია	51,659	43,883
ხელფასები და გასამრჯელოები	2,517	2,226
ცვეთა	1,205	981
სულ	89,513	81,641

7. რეალიზაციის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები

	2023	2022
ხელფასები	9,428	8,923
ცვეთის ხარჯი	3,786	3,640
ტრანსპორტირების ხარჯი	3,077	3,645
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	1,642	626
დასაწყობების ხარჯები	908	821
სხვა	75	43
სულ	18,916	17,698

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასები	3,417	2,913
პროფესიული მომსახურება	568	601
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	504	298
ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	323	358
წარმომადგენლობითი და სამიწვლინებო ხარჯები	281	499
ცვეთის ხარჯი	257	246
საკანცელარიო ნივთები და სხვა საოფისე ხარჯები	109	105
სხვა	291	308
სულ	5,750	5,328

9. ფინანსური დანახარჯები

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი საბანკო ოვერდრაფტებსა და სესხებზე	1,277	1,949
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	1,526	523
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	365	405
ბანკის საკომისიო	43	58
სულ	3,211	2,935

10. სხვა ხარჯი/შემოსავალი

	2023	2022
მომწოდებლისგან მიღებული ბონუსი	–	527
მოდერნიზირებით განპირობებული შემოსულობა / (ზარალი)	2	(19)
სხვა ხარჯი/შემოსავალი, წმინდა	156	200
სულ	158	708

11. მოგების და სხვა გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო და პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საგადასახადო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებები ვრცელდება ქართულ კომპანიებზე და არარეზიდენტი კომპანიების მუდმივ დაწესებულებებზე, გარდა გარკვეული ფინანსური დაწესებულებებისა. მოგების დაბეგვრის წინა რეჟიმი, რომლის მიხედვითაც კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგებიდან იხდიდნენ გადასახადს, ახლა შეიცვალა სისტემით, რომლის თანახმადაც, გადასახადი უნდა გადაიხდეს მხოლოდ მაშინ, თუ კომპანიის მოგება განაწილდება.

ცვლილებამ დაუყოვნებლივ მოახდინა გავლენა კომპანიების გადავადებულ გადასახადზე, ვინაიდან იგი აუქმებს დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის. საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გამო, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღარ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ვინაიდან კომპანიას არ გაუნაწილებია დივიდენდები 2023 და 2022 წლებში, 2023 წლის და 2022 წლის მოგება-ზარალში არ აღიარებულია მოგების გადასახადის ხარჯი.

2016 წლიდან საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ჯამდება საქართველოს შემოსავლების სამსახურის ერთიან საგადასახადო ანგარიშზე. ანგარიშსწორება ხდება ნეტო საფუძველზე. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამატებული ღირებულების გადასახადი, სააქციო გადასახადი და სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები ჯამდება წმინდა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა სრული საკუთრების უფლებით	შენობები	მანქანა- დანადგარები.	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობი- ლობები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრე- ბელი მშენებ- ლობა და დაუმონ- ტაჟებული მოწყობი- ლობები	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,643	4,400	17,925	1,281	1,377	1,881	171	28,678
შემოსვლები	6	12	1,029	191	62	600	856	2,756
გასვლები	-	-	(3)	(16)	-	(1,339)	-	(1,358)
შიდა გადაცემა	-	-	-	-	-	1,187	-	1,187
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,649	4,412	18,951	1,456	1,439	2,329	1,027	31,263
შემოსვლები	5,216	113	1,663	110	734	201	1,238	9,275
გასვლები	-	-	(978)	(22)	(331)	(194)	-	(1,525)
შიდა გადაცემა	-	-	1,673	5	428	50	(1,402)	754
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,865	4,525	21,309	1,549	2,270	2,386	863	39,767
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,085	11,576	698	598	1,279	-	15,236
გასვლისას ელიმინირებული	-	-	(2)	(11)	-	(1,050)	-	(1,063)
ცვეთის ხარჯი	-	92	2,265	136	253	268	-	3,014
შიდა გადაცემა	-	-	-	-	-	415	-	415
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,177	13,839	823	851	912	-	17,602
გასვლისას ელიმინირებული	-	-	(495)	(12)	(3)	(126)	-	(636)
ცვეთის ხარჯი	-	94	2,330	149	218	278	-	3,069
შიდა გადაცემა	-	-	271	5	428	15	-	719
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,271	15,945	965	1,494	1,079	-	20,754
საბალანსო ღირებულება								
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,649	3,235	5,112	633	588	1,417	1,027	13,661
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,865	3,254	5,364	584	776	1,307	863	19,013

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

1,205 ათასი ლარის ცვეთის ხარჯი დაერიცხა გაყიდული საქონლის თვითღირებულებას (2022 წ.: 981 ათასი ლარი) (მე-6 შენიშვნა).

კომპანიის ყველა უძრავი ქონება, 2023 წელს ნაყიდი მიწის გარდა, რომლის საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5,216 ლარია, დაგირავებულია „ვითიბი ბანკისგან“ ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად (იხ. მე-18 შენიშვნა). გარდა ამისა, კომპანიის მთლიანი ქონება ექვემდებარება საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო ყადაღის დადებას საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად (იხ. 22-ე შენიშვნა).

ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი განსჯის შედეგად განსაზღვრა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრისთვის არ არსებობდა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ისტორიული და პროგნოზირებული საოპერაციო საქმიანობა (რომელიც მიიჩნევა ფულადი სახსრების წარმოქმნელ ერთ ერთეულად, 2023 წელს შემენილი ნატახტარის მიწის ნაკვეთის გარდა, რომელიც შეფასდა, როგორც ინდივიდუალური აქტივი), 2024 წელს დამტკიცებული გაფართოების გეგმების გათვალისწინების გარეშე და ამიტომ მიიჩნევა არამაკორექტირებელ ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ მოვლენად.

13. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

	შენიშვნები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება			
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	919	6,746	7,665
შემოსვლები	3,117	35	3,152
გადატანები ძირითად საშუალებებში	–	(1,222)	(1,222)
იჯარის მოდიფიცირება	(122)	(601)	(723)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,914	4,958	8,872
შემოსვლები	477	660	1,137
გადატანები ძირითად საშუალებებში	–	(35)	(35)
იჯარის მოდიფიცირება	255	–	255
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,646	5,583	10,229
დაგროვილი ცვეთა			
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	493	1,540	2,033
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	712	1,128	1,840
გადატანები ძირითად საშუალებებში	–	(415)	(415)
იჯარის მოდიფიცირება	(130)	(327)	(457)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,075	1,926	3,001
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	1,125	1,052	2,177
იჯარის მოდიფიცირება	(110)	–	(110)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,090	2,977	5,067
საბალანსო ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,839	3,032	5,871
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,556	2,605	5,161
მოგება-ზარალში აღიარებული თანხები			
	2023 წ.	2022 წ.	
ცვეთის ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლება (მე-7 შენიშვნა)	2,177	1,840	
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	365	405	
სულ	2,542	2,245	

13. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საიჯარო ვალდებულებები ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	1,828	1,387
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	2,965	3,562
სულ საიჯარო ვალდებულებები	4,793	4,949

კომპანიას საშუალოდ 2-5 წლიანი იჯარით აქვს აღებული უძრავი ქონება საწყობების განთავსებისთვის, რათა წარმართოს საქმიანობა და ასევე საშუალოდ 2-5 წლიანი იჯარით აქვს აღებული სატრანსპორტო საშუალებები. შენობების ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებებისთვის გამოყენებულია 7.8%-იანი საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებებისთვის – 7.5%-იანი საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

14. მარაგები

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
მზა პროდუქცია	8,853	6,967
ნედლეული	4,721	5,674
სხვა მარაგები	332	362
სულ	13,906	13,003

წლის განმავლობაში ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულება იყო 85,791 ათასი ლარი (2022 წ.: 78,434 ათასი ლარი) (მე-6 შენიშვნა).

არალიკვიდური მარაგების ანარიცხები წარმოადგენს 2,754 ათას ლარს და 3,183 ათას ლარს 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. მარაგების მათ წმინდა გასაყიდ ღირებულებამდე ჩამოწერით განპირობებული ზარალი გაუტოლდა 1,297 ათას ლარს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2022 წ.: 661 ათასი ლარი), რომელიც წარმოდგენილია გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში.

სხვა მარაგებში ძირითადად შედის მარკეტინგული მასალები, საწვავი, სათადარიგო ნაწილები და სხვა მასალები, რომლებიც წარმოების პროცესში გამოიყენება.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები	15,901	15,849
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(2,475)	(3,015)
გადახდილი ავანსები	871	1,208
რეზერვი გადახდილი ავანსებისათვის	(190)	-
სულ	14,107	14,042

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები ხელშეკრულების მიხედვით უნდა დაიფაროს წარმოშობიდან 30-60 დღის განმავლობაში.

სავაჭრო მოთხოვნების ამოღებადობის განსაზღვრისას, კომპანია ითვალისწინებს სავაჭრო მოთხოვნის საკრედიტო ხარისხის ნებისმიერ ცვლილებას, კრედიტის გაცემის თარიღიდან საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე, რომელიც ჩვეულებრივ, გამოიხატება ვადაგადაცილებული დღეებით. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია იმ ფაქტის გამო, რომ მომხმარებელთა ბაზა დივერსიფიცირებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებელია.

საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილების დინამიკა:

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ნაშთი წლის დასაწყისში	3,015	2,576
მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(62)	439
მოთხოვნების ჩამოწერა	(478)	–
სულ	2,475	3,015

სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასე გამოიყურება:

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ვადაგადაუცილებელი	13,133	12,337
30 დღეზე ნაკლები	388	534
31–90 დღე	86	237
91–180 დღე	31	259
181–270 დღე	43	149
271–365 დღე	2,220	2,333
სულ	15,901	15,849

	ვადაგადაცილებული დღეები				სულ
	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	31–90 დღე	90 დღეზე მეტი	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონე	1.04%	3.09%	40.70%	99.87%	15.57%
სავარაუდო მთლიანი საერთო საბალანსო ღირებულება	13,133	388	86	2,294	15,901
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(137)	(12)	(35)	(2,291)	(2,475)
31-დეკ.-23	12,996	376	51	3	13,426

	ვადაგადაცილებული დღეები				სულ
	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	31–90 დღე	90 დღეზე მეტი	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონე	2.33%	3.93%	21.94%	96.86%	19.02%
სავარაუდო მთლიანი საერთო საბალანსო ღირებულება	12,337	534	237	2,741	15,849
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(287)	(21)	(52)	(2,655)	(3,015)
31-დეკ.-22	12,050	513	185	86	12,834

16. ფულადი სახსრები და საბანკო ნაშთები

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საბანკო ნაშთები	2,528	5,099
სალაროს ნაშთი	2	10
სულ	2,530	5,109

17. სააქციო კაპიტალი

	ჩვეულებრივი აქციები	
	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
გამოშვებული 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად განადგეხული ნებადართული აქციები – ნომინალური ღირებულება	55,000 1 ლარი	55,000 1 ლარი

ყველა ჩვეულებრივი აქცია თანაბარია კომპანიის ნარჩენ აქტივებთან მიმართებით.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს დროდადრო გამოცხადებული დივიდენდების მიღებისა და კომპანიის კრებებზე თითო აქციაზე ერთი ხმის უფლება აქვთ.

18. ნასესხები სახსრები

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
არაუზრუნველყოფილი სესხები:		
– დაკავშირებული მხარეებისგან (i)	24,235	20,434
უზრუნველყოფილი სესხები:		
– საბანკო სესხები (ii)	11,297	12,363
სულ	35,532	32,797
მოკლევადიანი	11,704	6,987
გრძელვადიანი	23,828	25,810
სულ	35,532	32,797

(i) კომპანიის აქციონერისთვის, კომპანიის საბოლოო მაცონტროლებელი პირებისთვისა და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის გადასახდელი თანხები. 6% და 7.5% წლიური პროცენტი ერიცხება სესხის დაუფარავ ნაშთებს, შესაბამისად.

(ii) დაუფარავი ნაშთი უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებების გირაოთი, 13,797 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით (2022 წ.: 13,661 ათასი ლარი) (იხ. მე-12 შენიშვნა). საპროცენტო განაკვეთი საბანკო სესხებზე არის წლიური 7.3% და 14.5%, ხოლო დაფარვის ვადა არ აღემატება 1 წელს.

18. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

საფინანსო საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებების შეჯერება

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური საქმიანობით განპირობებული ვალდებულებების ცვლილებები – როგორც ფულადი, ისე არაფულადი. ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები ის ვალდებულებებია, რომლებისთვისაც ფულადი ნაკადები იყო ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება კლასიფიცირებული კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები.

	31 დეკემბერი, 2022 წ.	ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები (i)	ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები (ii)	სხვა ცვლილებები (iii)	არაფულადი ცვლილება საკუროს სხვაობით განპირო- ბებულ ზარალში / (შემოსუ- ლობაში)	31 დეკემბერი, 2023 წ.
ნასესხები სახსრები	32,797	2,847	(1,322)	1,046	164	35,532
საიჯარო						
ვალდებულებები	4,949	–	(1,612)	1,491	(35)	4,793
სულ	37,746	2,847	(2,934)	2,537	129	40,325

	31 დეკემბერი, 2021 წ.	ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები (i)	ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები (ii)	სხვა ცვლილებები (iii)	არაფულადი ცვლილება საკუროს სხვაობით განპირო- ბებულ შემოსულო- ბაში	31 დეკემბერი, 2022 წ.
ნასესხები სახსრები	34,307	20,872	(18,214)	303	(4,471)	32,797
საიჯარო						
ვალდებულებები	4,690	–	(1,625)	2,694	(810)	4,949
სულ	38,997	20,872	(19,839)	2,997	(5,281)	37,746

- (i) მიღებული ფულადი ნაკადები შედგება მიღებული სესხებისგან;
- (ii) გამოყენებული ფულადი ნაკადები შედგება ნასესხები სახსრებისა და იჯარების დაფარვისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.
- (iii) სხვა ცვლილებები მოიცავს, პროცენტის დარიცხვების და გადახდების გარდა, საიჯარო ვალდებულებების საწყის აღიარებას და იჯარის მოდიფიცირების ეფექტებს.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
სავაჭრო ვალდებულებები	11,487	11,079
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა	1,452	1,792
გასაცემი ხელფასები	1,099	1,082
სულ	14,038	13,953

გარკვეული საქონლის ადგილობრივი შესყიდვების საშუალო კრედიტის ვადა 1-3 თვეა.

კომპანიას დანერგილი აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რომ უზრუნველყოს ყველა ვალდებულების გადახდა კრედიტის წინასწარ შეთანხმებულ ვადებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული კომპანიის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები აღწერილია მე-20 შენიშვნაში.

20. ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეებისთვის უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის საერთო სტრატეგია ამ ეტაპზე უცვლელი რჩება.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა თავისი კაპიტალის მართვის მიზნებისთვის შედგება კომპანიის წმინდა ვალდებულებებისგან (მე-18 შენიშვნაში აღწერილი ნასესხები სახსრები, ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების გამოკლებით) და საკუთარი კაპიტალისგან (შედეგა მე-17 შენიშვნაში აღწერილი გამოშვებული კაპიტალისგან და დაგროვილი ზარალისგან):

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
საკუთარი კაპიტალი	527	168
ნასესხები სახსრები	35,532	32,797
გამოკლებული – ფულადი სახსრები და საბანკო ნაშთები	(2,530)	(5,109)
კაპიტალი კაპიტალის მართვის მიზნებისთვის	33,529	27,856

კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული რაიმე გარე მოთხოვნები.

20.2 საბაზრო რისკი

კომპანიის საქმიანობას ძირითადად ფინანსური რისკი აქვს უცხოური ვალუტის კურსების (იხ. 20.4 შენიშვნა ქვემოთ) და საპროცენტო განაკვეთების (იხ. 20.5 შენიშვნა დაბლა) ცვლილებიდან გამომდინარე. კომპანია არ აფორმებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს თავისი სავალუტო და საპროცენტო რისკების სამართავად.

20. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

20.3 სავალუტო რისკის მართვა

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში გამოხატულ ტრანზაქციებს და შესაბამისად ეზრდება სავალუტო კურსის მერყეობის რისკი.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ასე გამოიყურება:

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის			2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		
	აშშ დოლარი	ევრო	სულ	აშშ დოლარი	ევრო	სულ
<i>ეკვივალენტი ლარში, წლის ბოლოს გაცვლითი კურსის მიხედვით</i>						
არაწარმოებული ფინანსური აქტივები	1,474	2	1,476	4,500	6	4,506
სავაჭრო მოთხოვნები	370	–	370	787	–	787
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,104	2	1,106	3,713	6	3,719
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	31,065	6,505	37,570	27,894	8,004	35,898
სესხები და ნასესხები სახსრები	24,235	6,278	30,513	20,448	7,325	27,773
საიჯარო ვალდებულებები	4,423	14	4,437	4,852	92	4,944
სავაჭრო ვალდებულებები	2,407	213	2,620	2,594	587	3,181
ნეტო პოზიცია	(29,591)	(6,503)	(36,094)	(23,394)	(7,998)	(31,392)

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოურ ვალუტასთან მიმართებით თავისი სამუშაო ვალუტის 20%-ით გამყარების/გაუფასურების მიმართ 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი შეეხო შესაბამის ვალუტებში გამოხატულ ფულად მუხლებს საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
მოგება ან ზარალი	5,918	4,679	1,301	1,600

20.4 საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ის რისკი, როდესაც ცვლილებები ცვალებად საპროცენტო განაკვეთში გამოიწვევს უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიას მცირე საპროცენტო განაკვეთის რისკი აქვს, ვინაიდან კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულები მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით იღებენ სესხებს.

20.5 საკრედიტო რისკის მართვა

საკრედიტო რისკი იმისა, რომ მომხმარებელმა ვერ შეასრულოს ან დროულად ვერ შეასრულოს კომპანიის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები და ამის გამო კომპანიას მიაყენოს ფინანსური ზარალი. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (მირითადად სავაჭრო მოთხოვნები) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და დაკავშირებულ მხარეებში განთავსებული ანგარიშებიდან, სავალუტო გარიგებებიდან და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საკრედიტო რისკი დაბალია, რადგან კონტრაპენტები არიან ბანკები, რომლებსაც Fitch Rating-ისგან მინიჭებული აქვთ „B“ მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი და „BB“ გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი.

20. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

20.5 საკრედიტო რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ზარალის რეზერვს აფასებს მათი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხის ოდენობით. სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები ფასდება დებიტორის დეფოლტის ისტორიაზე წარსულ გამოცდილებაზე, ასევე დებიტორის დაფარვის დღეებისა და მიმდინარე ნაშთისთვის გაცემული საბანკო გარანტიების ანალიზზე დაყრდნობით. კომერციულ მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში ზარალზე და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე. ვადაგადაუცილებელი ნაშთების დეფოლტის ალბათობის შესაფასებლად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ კვლევებს. კომპანიის შეფასებით, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს. ვადაგადაცილებული ნაშთების შემთხვევაში, კომპანია ეყრდნობა დებიტორების მიერ წარსულში გადახდის გამოცდილებას.

კომპანიის 10 უმსხვილესი მომხმარებელი წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების დაუფარავი ნაშთის 62%-ს 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის ამ აქტივების საბალანსო ღირებულებას ყოველგვარი ურთიერთგადაფარვის ან უზრუნველყოფის საგნის გათვალისწინების გარეშე.

	რისკის მაქსიმალური მოცულობა	
	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,528	5,099
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,426	12,834

20.6 ლიკვიდურობის რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ვალდებულებების შესრულებას მათი დაფარვის ვადებში.

ქვედა ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების მოსალოდნელი დაფარვის ვადები. ცხრილი შედგენილია ფინანსური აქტივების არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვადების საფუძველზე, ამ აქტივებზე დარიცხული პროცენტის ჩათვლით. არაწარმოებული ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება საჭიროა კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მართვის გასაგებად, ვინაიდან ლიკვიდურობა იმართება წმინდა აქტივებისა და ვალდებულებების საფუძველზე.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	სულ
31 დეკემბერი, 2023 წ.					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,530	–	–	–	2,530
სავაჭრო მოთხოვნები	9,541	6,360	–	–	15,901
სულ აქტივები	12,071	6,360	–	–	18,431
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	7,012	4,646	725	–	12,383
სესხები და ნასესხები სახსრები	312	6,228	5,962	29,837	42,339
საიჯარო ვალდებულებები	213	435	1,486	3,188	5,322
სულ ვალდებულებები	7,537	11,309	8,173	33,025	60,044
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	4,534	(415)	(8,588)	(41,613)	

20. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

20.6 ლიკვიდურობის რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია ყველა ვალდებულების სრულად დაფარვას მოელოს მათი ვადის მოსვლისთანავე საოპერაციო შემოსავლით, რეფინანსირებით ან, საჭიროების შემთხვევაში, თავისი ნასესხები სახსრების დაფარვის ვადის გაგრძელებით.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	სულ
31 დეკემბერი, 2022 წ					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,109	–	–	–	5,109
სავაჭრო მოთხოვნები	9,509	6,340	–	–	15,849
სულ აქტივები	14,618	6,340	–	–	20,958
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	7,514	3,651	846	–	12,011
სესხები და ნასესხები სახსრები	977	5,490	1,670	29,594	37,731
საიჯარო ვალდებულებები	194	293	1,220	4,023	5,730
სულ ვალდებულებები	8,685	9,434	3,736	33,617	55,472
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	5,933	2,839	(897)	(34,514)	

20.7 სამართლიანი ღირებულების შეფასება

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრავს კომპანია სხვადასხვა ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებას.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში. სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შესაბამისი დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება და საბალანსო ღირებულება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, ასე გამოიყურება:

	სამართლიანი ღირებულების იერარქია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	–	13,426	–	13,426
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,530	–	–	2,530
სულ	2,530	13,426	–	15,956
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	–	35,532	–	35,532
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	–	14,038	–	14,038
საიჯარო ვალდებულებები	–	4,793	–	4,793
სულ	–	54,363	–	54,363

20. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

20.7 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	სამართლიანი ღირებულების იერარქია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	–	12,834	–	12,834
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,109	–	–	5,109
სულ	5,109	12,834	–	17,943
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	–	32,797	–	32,797
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	–	13,953	–	13,953
საიჯარო ვალდებულებები	–	4,949	–	4,949
სულ	–	51,699	–	51,699

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები ზემოაღნიშნულ მე-2 დონის კატეგორიაში განისაზღვრა საყოველთაოდ მიღებული ფასწარმოქმნის მოდელების მიხედვით, დისკონტირებული ფულადი სახსრების/ნაკადების ანალიზზე დაყრდნობით, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემია დისკონტირების განაკვეთი, რომელიც ასახავს კონტრაქტების საკრედიტო რისკს.

21. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები არიან მფლობელები, აფილირებული პირები და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული, ასევე კომპანიისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებს დაქვემდებარებული საწარმოები.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მხარეებს შორის.

თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას შემდეგი ნაშთები ჰქონდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	31 დეკემბერი, 2023 წ.			
	მშობელი საწარმო	საბოლოო მაკონტროლებელი პირი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	სულ
სესხები და ნასესხები სახსრები	9,247	10,155	4,833	24,235
საპროცენტო ხარჯი	478	732	316	1,526
ამონაგები	–	–	4,708	4,708
ხარჯები	–	–	233	233
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ნული ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით)	113	–	257	370

21. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2022 წ.			სულ
	მშობელი საწარმო	საბოლოო მაკონტრო- ლებელი პირი	საერთო კონტროლს დაქვემდებ- რებული პირები	
სესხები და ნასესხები სახსრები	8,799	10,027	1,608	20,434
საპროცენტო ხარჯი	502	13	9	524
ამონაგები	–	–	4,700	4,700
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ნული ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით)	65	–	673	738

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება, წარმოდგენილი დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოების სახით, შეადგენდა 1,606 ათას ლარსა და 1,592 ათას ლარს, შესაბამისად.

22. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები – კომპანიას არ ჰქონდა არსებითი მიმდინარე ვალდებულებები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სასამართლო პროცესები – დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება სარჩელი აღიძრას. თავისი შეფასებებისა და შიდა თუ გარე პროფესიონალების რჩევის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ განიცდის არსებით ზარალს სარჩელებიდან იმ თანხაზე მეტი ოდენობით, რაც დარეზერვებული აქვს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყებების მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს განმარტებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დაკისრების უფლება. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო ოთხი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

ამ გარემოებებმა შეიძლება სხვა ბევრ ქვეყანაზე არსებითად უფრო მაღალი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება კომპანიის ინტერპრეტაციებისგან განსხვავდებოდეს და, მათი წარმატებით აღსრულების შემთხვევაში, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2023 წლის 27 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება #094–99 კომპანიის მიმართ და კომპანიას დააკისრა საგადასახადო ვალდებულებები საგადასახადო აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე.

წინა პერიოდებში კომპანიის თანამშრომლებმა მიისაკუთრეს 1,456 ათასი ლარის თანხები. საქართველოს შემოსავლების სამსახურმა, საგადასახადო აუდიტის განმავლობაში, მოახდინა ამ ზარალის კლასიფიცირება დასაქმებულთათვის გაცემულ უპროცენტო სესხებად და ხელფასის სახით გაცემულ სარგებლად, და კომპანიას დააკისრა 840 ათასი ლარის საგადასახადო დავალიანება, რომელიც შედგება 479 ათასი ლარის ძირითადი თანხისგან, 154 ათასი ლარის საურავებისგან და 207 ათასი ლარის ჯარიმებისგან.

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანია შემოსავლების სამსახურის მიერ მითვისებული თანხების კლასიფიკაციას ასაჩივრებს შემდეგი არგუმენტებით:

- ▶ თანხები მითვისეს ყოფილმა თანამშრომლებმა უკანონო ქმედებების ფარგლებში და კომპანიის ნების წინააღმდეგ. სესხის, განსაკუთრებით უპროცენტო სესხის, გაცემის აქტი ყოველთვის გულისხმობს კრედიტორის სურვილს, რომ გასცეს სესხი, რაც ამ შემთხვევაში ასე არ ყოფილა.
- ▶ შესაბამისად, ვინაიდან თანხები მითვისებული იქნა კომპანიის სურვილის საწინააღმდეგოდ, ისინი ვერ ჩაითვლება დასაქმებულებზე გაცემულ სარგებლად, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დასაქმებული 2020 წლის ზაფხულიდან აღარ მუშაობს კომპანიაში.

კომპანიამ საჩივარი შეიტანა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში იმ არგუმენტით, რომ საგადასახადო ვალდებულების დაკისრება უსაფუძვლო იყო. დავების განხილვის საბჭომ შეისწავლა კომპანიის საჩივარი, გააუქმა შემოსავლების სამსახურის თავდაპირველი გადაწყვეტილება და საქმე უკან გაგზავნა დამატებითი აუდიტორული შემოწმებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველ საგადასახადო აუდიტს მხედველობაში არ მიუღია გარკვეული ფაქტები, რომლებიც დადგა აუდიტის შემდეგ, მათ შორის დანაშაულში გარეული პირებისთვის წაყენებული ოფიციალური ბრალდებები და სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული კონკრეტული დოკუმენტაციის არარსებობა აუდიტის დროს.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა შესაბამისი ფაქტისა და დოკუმენტაციის საფუძველიანი შემოწმების შემდეგ შემოსავლების სამსახური შეცვლის თავის გამოვლენილ ფაქტებს და გააუქმებს საგადასახადო ვალდებულებას.

საოპერაციო გარემო – განვითარებადი ბაზრები, როგორც საქართველოა, განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებულ რისკებს ატარებს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული კანონები და ნორმატიული აქტები სწრაფად იცვლება, ხოლო საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში მიმდინარე მოვლენები.

გასულ წლებში საქართველოში მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად უკავშირდებოდა საქართველოს ევროკავშირში შესვლის გეგმას. ბოლო რამდენიმე წელიწადში მომხდარმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ამისთვის ნიადაგი კი მოამზადეს, მაგრამ მომავალში ცვლილებები კიდევ არის მოსალოდნელი ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის განვითარების კვალდაკვალ.

კაპიტალური დანახარჯის ვალდებულებები. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული კაპიტალური დანახარჯის ვალდებულებები.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წლის მაისში კომპანიამ მიიღო 700 ათასი აშშ დოლარის მოკლევადიანი სესხი აქციონერისგან ახალი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებული დაფინანსების ვალდებულების ფარგლებში, რომლის მიზანიც არსებული საწარმოო ხაზის განახლება და ახალ ქარხანაში გადატანაა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთი მოვლენები არ დამდგარა, რომლებიც მოითხოვდა დამატებით განმარტებით შენიშვნებს ან კორექტირებების შეტანას ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული)

ზოგადი ინფორმაცია

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის განმარტების შესაბამისად. კომპანია დაფუძნდა 2001 წლის სექტემბერში. მისი იურიდიული მისამართია თეთრი ხევის ჰესი, 0109, ორხევის დასახლება, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გაზიანი უალკოჰოლო სასმელების წარმოება და გაყიდვა PepsiCo, Inc.-თან გაფორმებული ფრანჩიზული ხელშეკრულების საფუძველზე. გარდა ამისა, კომპანია არის PepsiCo Inc.-ის არაერთი პროდუქტის იმპორტიორი და დისტრიბუტორი. საქართველოში პროდუქტების გასაყიდად კომპანია თვითონ ახდენს დისტრიბუციას ყველა სავაჭრო არხის შემთხვევაში.

წარმოების პროცესი მიმდინარებს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ქარხანაში. საწარმოო სიმძლავრე აკმაყოფილებს კომპანიის ამჟამინდელი გაყიდვის საჭიროებებს და გაყიდვის შესაძლებლობებს სულ მცირე მომდევნო 2 წლისთვის.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ ახდენს PepsiCo-ს და საკუთარი შემდეგი პროდუქტების წარმოებას და დისტრიბუციას: პეპსი, პეპსი ბლეკი, მირინდა ფორთოხალი, მირინდა ვაშლი, 7Up, აქუაფინა ლიმონი, ლიპტონი, იბერია ლიმონათი, ენერგეტიკული სასმელი მაქს ფაუერი, მაქს ყავა. ჯამში 59 SKU ერთეული (სასაწყობე ერთეული).

გარდა ამისა, 2021 წლის მარტში კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „ვიმ-ბილ“-დან საქართველოსთან და თავის ძირითად საქმიანობას დაუმატა სნექების დისტრიბუცია (Lay's, Doritos, Cheetos, Hrusteam და Ruffles). ჯამში 67 SKU ერთეული (სასაწყობე ერთეული).

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო, შესაბამისად, 544 და 505 პირი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგი აქციონერები ფლობდნენ კომპანიის მიერ გამოშვებულ აქციებს:

	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შპს „ELSU Inc.“	95.53%	95.53%
ალმაფარ აჰმად აბდულა ალი	4.47%	4.47%
სულ	100.00%	100.00%

კომპანიის 95.53%-იანი წილის მფლობელია შპს „ELSU Inc.“, მშობელი საწარმო, რომელიც, თავის მხრივ კონტროლდება ინდივიდუალური ინვესტორების მიერ, რომელთაგან თითოეულს არ აქვს საბოლოო კონტროლი მასზე. 2023 წლისა და 2022 წლის განმავლობაში საკუთარი აქციების შესყიდვა არ მომხდარა.

კომპანიას არ აქვს ფილიალები, მაგრამ აქვს წარმომადგენლობითი ოფისები ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ბორჯომსა და თელავში.

ხედევა

კომპანიის ხედევა გახდეს არაალკოჰოლური სასმელებისა და სნექების ქართული ბაზრის ყველაზე სწრაფად მზარდი მონაწილე, უფრო დიდი და მძლავრი ბიზნესის განვითარებით, რომელსაც შეუძლია პორტფელის გაზრდა წარმოებისა და დისტრიბუციის თვალსაზრისით, მომავლისთვის საჭირო რესურსების მოძიება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა („ა“ კლასის ლოგისტიკური ცენტრი და ქარხანა მეტი გაფართოების პერსპექტივით), მომხმარებლებისთვის ღირებულების შექმნა, ცვლილების მოხდენა, სიხარულის, ბედნიერებისა და ოპტიმიზმის მომნიჭებელი მომენტების შექმნა.

კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს:

- ▶ **ხარისხი** – მაღალი ხარისხის პროდუქტების მიწოდება და ბრენდის პორტფელის გაზრდა, რომელიც აკმაყოფილებს ჩვენი მომხმარებლების საჭიროებებს;
- ▶ **ღირებულება მომხმარებლისთვის** – მაღალი კლასის მომსახურების გაწევა ჩვენი მომხმარებლებისთვის კომპანიის ზრდის სტრატეგიის კრიტიკული მნიშვნელობის ნაწილია;
- ▶ **ჩვენი თანამშრომლები** – ჩვენი კომპანიის მომავალი ლიდერებისთვის საუკეთესო ტალანტის მოზიდვა, ზრდა-განვითარება და შენარჩუნება;
- ▶ **თანამშრომლობა** – გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის გამუდმებით წახალისება ჩვენს სამუშაო სივრცეში;
- ▶ **პასუხისმგებლობის აღება** – ჩვენი ქმედებების დაგეგმვა, განხორციელება და მათზე პასუხისმგებლობის აღება.

სადისტრიბუციო პუნქტები

კომპანიას საქართველოს 5 რეგიონში აქვს სადისტრიბუციო პუნქტები: აჭარა, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და სამცხე-ჯავახეთი. თბილისში წარმოებული მზა პროდუქტების ტრანსპორტირება ხდება რეგიონულ საწყობებში და შემდეგ ხდება მათი დისტრიბუცია მაღაზიებში.

ადგილობრივ ბაზარზე დისტრიბუციის გარდა, კომპანია ქილის პროდუქტების ექსპორტს ახდენს სომხეთში.

საწარმოო ობიექტები

კომპანია PepsiCo, Inc.-ის რეგულაციებისა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ინარჩუნებს პროდუქტების ხარისხს. 20-წლიანი არსებობის განმავლობაში პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით პრობლემები არ აღმოუჩენიათ არც PepsiCo-ს და არც საქართველოს კანონმდებლობის წარმომადგენლებს.

პროდუქტების მაღალი ხარისხის შენარჩუნება მიიღწევა კომპანიის პროფესიონალებისგან მუდმივი ზედამხედველობით და ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციებით საწარმოო ხაზებსა და თანამშრომლების ტრენინგებში. კომპანია დროდადრო უზრუნველყოფს საწარმოო ხაზების შეკეთებას მანქანა-დანადგარების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ შემდეგ სერტიფიკატებს ფლობს:

1. AIB 890/1000
2. FSSC 22000
3. QAS PepsiCo აუდიტი, 2023 წ.: 100%
4. Global 3C Quality 2023 Score: Capability & Consumer – Green Zone, Control – Blue Zone
5. Caleb Bradham Bronze Award – Quality & Safety Excellence 2023

შედეგები

კომპანიის ამონაგები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაუტოლდა 117.9 მილიონს, რაც წინა წელთან შედარებით 7.9%-იანი ზრდაა.

კომპანიის ამონაგები გაყიდვებიდან წლების მიხედვით:

	2023	2022	2021	2023 vs 2022	2022 vs 2021
ამონაგები გაყიდვებიდან	117,949	109,311	89,052	7.9%	22.7%

კომპანიამ წელი დაასრულა: 359 ათასი ლარის წმინდა მოგებით, წლის EBITDA იყო 9,289 ათასი ლარი, მისი დაგროვილი ზარალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუტოლდა 54,473 ათას ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები იყო 6,299 ათასი ლარი, ასევე მისი მოკლევადიანი აქტივები მის მოკლევადიან ვალდებულებებს 2,973 ათასი ლარით აღემატებოდა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის წმინდა აქტივები იყო დადებითი და შეადგენდა 527 ათას ლარს.

რისკები და განუსაზღვრელობები

კომპანიის მთავარი რისკებია:

ლიკვიდურობის რისკი – სწრაფი ზრდა მოითხოვს მეტ ინვესტიციას სავაჭრო მარკეტინგსა და სავაჭრო ინფრასტრუქტურაში.

ხელმძღვანელობა გამუდმებით შეიმუშავებს, წერავს და აახლებს პროცესებს და პროცედურებს ბიზნესის ციკლის ყველა საქმიანობის შედეგიანობისა და ეფექტურობისთვის: წარმოება, გაყიდვა, დისტრიბუცია, ზოგადი მართვა, საკრედიტო პოლიტიკა და ფულის მართვა.

მოცულობის შემზღუდველი ფაქტორები – სწრაფად მოძრავ სამომხმარებლო საქონელზე მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია საწარმოო ხაზების განახლება პროდუქტების დანაკლისებისა და მარაგის ამოწურვის თავიდან ასაცილებლად.

კომპანია ყოველ წელს ახორციელებს ინვესტიციას წარმოების კაპიტალურ დანახარჯებში საწარმოო ხაზების შესაკეთებლად, რაც განაპირობებს უფრო მაღალ მწარმოებლურობას. კომპანია აპირებს გააგრძელოს ინვესტიციები სამაცივრე ინფრასტრუქტურებში, ლოგისტიკაში და უკვე დაიწყო ინვესტიციების განხორციელება ახალ ქარხანაში, რომელიც ორ წელს გასტანს, 2026 წლის ზაფხულამდე.

2016 წლიდან აქციონერებმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები გაიდეს ნასესხები სახსრების სახით, რომლებიც ძირითადად გამოყენებული იქნა საბრუნავი კაპიტალის და კაპიტალური დანახარჯების საჭიროებების, მაგ. საწარმოო ხაზის ტექნიკური მომსახურების, სავაჭრო ინფრასტრუქტურისა და ავტოტრანსპორტის, დასაფინანსებლად. საქართველოს ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად და კიდევ უფრო გასაფართოებლად კომპანიამ შეისყიდა მაცივრების მნიშვნელოვანი რაოდენობა 2016 წლიდან, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მაღაზიაში განთავსდა. მომდევნო 5 წელიწადში კომპანია აპირებს მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას მაცივრებში და საწარმოო სიმძლავრეში, რათა ხელი შეუწყოს ბაზარზე გაფართოებას.

სავალუტო რისკი – ვინაიდან მზა პროდუქციისთვის ნედლეულის უმეტესობა იმპორტირებულია, სავალუტო რისკი დიდ როლს თამაშობს გაყიდული საქონლის თვითღირებულების განსაზღვრაში, რაც დამატებითი ტვირთია კომპანიის მომგებიანობისთვის. გარდა ამისა, კომპანიას უცხოურ ვალუტაში ნასესხები სახსრები აქვს, რომლებიც გამოხატულია აშშ დოლარსა და ევროში, რაც კიდევ უფრო მეტ წნეხს უქმნის კომპანიის მომგებიანობას.

სს „იბერია რეფერენდუმი“ გეგმავს ამ რისკის მართვას ფასწარმოქმნის ახალი სტრატეგიებით, მაგრამ დაყოვნებით, რადგან თავისი უფრო ძლიერი კონკურენტის ფასების გათვალისწინება უხდება. კომპანია ასევე ცდილობს მიწოდების ჯაჭვისა და შესყიდვების მეტი ეფექტიანობის მიღწევას.

სწრაფად მოძრავი სამომხმარებლო საქონლის ბაზარზე ორგანიზებული სავაჭრო არხის წილის ზრდა – ტრადიციული ვაჭრობის მომხმარებლებისგან განსხვავებით, ორგანიზებული ვაჭრობის მომხმარებლები მოითხოვენ მეტ ინვესტიციებს ვაჭრობაში. ორგანიზებული ვაჭრობის მომხმარებლებს შეუძლიათ მოითხოვონ უფრო დიდი ფასდაკლებები, რადგან მათ აქვთ ბევრი მაღაზია და თქვენი პროდუქტების იქ უფრო დიდი მოცულობით გაყიდვა შესაძლებელი, ვიდრე ტრადიციული ვაჭრობით გაყიდვის შემთხვევაში იქნებოდა. ამასთან, ვინაიდან ორგანიზებული ვაჭრობა სულ უფრო და უფრო მოსახერხებელი ხდება მომხმარებლებისთვის, ტრადიციული ვაჭრობის პოპულარობა თანდათან იკლებს, რის გამოც მცირე ზომის მაღაზიები სულ უფრო დაუცველები არიან ამ ცვლილებებისგან. შედეგად, კომპანიის პროდუქტების გაყიდვა ტრადიციული ვაჭრობის გზით სულ უფრო რთული ხდება.

ვინაიდან კომპანიის ზრდის გეგმა მოიცავს ორგანიზებული ვაჭრობის გზით გაყიდვების გაზრდას, ხელმძღვანელობამ მზარი დაუჭირა ამ სტრატეგიას ორგანიზებული ვაჭრობის გზით გაყიდვების არხების მეტი დაფინანსებით. ამასთან, კომპანია რეგულარულად უწყობს ფებს საბაზრო ტენდენციებს ორგანიზებული ვაჭრობისა და ტრადიციული ვაჭრობის არხებისთვის მიწოდებისა და ლოგისტიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფით.

გარემოსდაცვითი საკითხები

კომპანია მჭიდრო თანამშრომლობას ინარჩუნებს PepsiCo-სთან გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად და თავისი საოპერაციო ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად:

- ▶ 2022 წლიდან კომპანიამ დაწერა ნარჩენების განცალკევება თავის წარმოების პროცესში და პარტნიორობა წამოიწყო სპეციალიზებულ დაწესებულებებთან შემდგომი გადამუშავებისთვის.
- ▶ კომპანია მუდმივად ამცირებს შესაფუთი მასალების გამოყენებას პროცესების მოდერნიზებით, რითაც მინიმუმამდე დაჰყავს ბუნებრივ გარემოში ნარჩენების გადაყრა.
- ▶ კომპანია თავის წარმოებაში იყენებს განახლებადი ენერგიის წყაროებს.
- ▶ კომპანია მუდმივად ახდენს ინვესტირებას თანამედროვე მოწყობილობებში და თანამშრომლების ტრენინგებში.

განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ

კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში ჩართვას. თავისი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანია ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო ინიციატივებში.

კომპანია ზრუნავს თანამშრომლებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოების პროცესში უბედური შემთხვევები არ დაფიქსირებულა. კომპანიას აქვს სამუშაო პროცესების დეტალური აღწერილობა და ატარებს სატრენინგო სესიებს ყველა თანამშრომლისთვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს უბედური შემთხვევების თავიდან აცილება.

2023 წელს კომპანიამ წარმატებით გადაამუშავა თავისი საწარმოო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი 10 ტონაზე მეტი ნარჩენი, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირა გარემოზე გავლენა. ამასთან, კომპანია აქტიურად ცდილობს წყლის მოხმარების შემცირებას თავის საწარმოო პროცესში, რაც ყოველწლიურ მიზნებში შედის და რის მისაღწევადაც ინვესტიციებს ახორციელებს თანამედროვე ტექნოლოგიებში.

დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები

კომპანია დიდ პრიორიტეტს ანიჭებს თანამშრომლების უფლებების დაცვას, მათი მოტივაციის გაზრდას და სამართლიანი, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას. ამ მიზნების მისაღწევად კომპანიას შედეგინილი აქვს სხვადასხვა პოლიტიკა, სახელმძღვანელო პრინციპები და შინაგანაწესი, რომელთა დანიშნულებაა მდგრადი სამუშაო გარემოს შექმნა ყველა თანამშრომლისთვის დასაქმების თანაბარი პირობებით. ეს დოკუმენტები ძირითად ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებებზე, დისკრიმინაციის აღკვეთაზე, პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე და თანამშრომელთა განვითარებაზე.

კომპანიის ძირითადი ღირებულებები და მიდგომები თანამშრომელთა უფლებებისადმი მოცემულია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში. ეს დოკუმენტები აღწერს თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომ სარგებელს და შესაძლებლობებს და არეგულირებს ახალი თანამშრომლების აყვანის პრაქტიკას, სამუშაო ადგილის უსაფრთხოების და სხვა საკითხებს. კომპანია ზრუნავს იმაზე, რომ ეს მარეგულირებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაში იყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან.

კორუფციის და მექრთამეობის აღკვეთასთან დაკავშირებული საკითხები

კომპანიას ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა აქვს ყოველგვარი სახის კორუფციის, მათ შორის მექრთამეობისა და კორუფციის დაფინანსების, მიმართ. კომპანია მკაცრად კრძალავს ქრთამის ან ნებისმიერი ღირებული რამის მიღებას, შეთავაზებას, დავალებას ან გადახდას ბიზნესში უპირატესობის მოსაპოვებლად ან შესანარჩუნებლად, ან გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად. თანამშრომლებს ეკრძალებათ ქრთამის მიღება ან გაცემა, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, მათ შორის, შუამავლების მეშვეობით. კომპანია არ იწყნარებს უკანონო საქმიანობას ან თაღლითობას და თავის საქმიანობას წარმართავს ეთიკურად და უმაღლესი პროფესიული სტანდარტების დაცვით. კომპანია ზრუნავს გამჭვირვალობის კულტურის წახალისებაზე და არაკეთილსინდისიერი ან თაღლითური ქმედებების პრევენციაზე, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ინტერესებს.

სამომავლო პერსპექტივები

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აქციონერების სრული მხარდაჭერით და ძლიერი მშობელი საწარმოს დახმარებით, სს „იბერია რეფრეშმენტსი“ გააგრძელებს თავის საქმიანობას და ზრდას მომდევნო წლებში, მათ შორის ახალი პროდუქტების დანერგვას, სტრატეგიების განხორციელებას და საწარმოო ობიექტების დამატებას.

აუდიტის გასამრჯელო

პროფესიული მომსახურების გასამრჯელო მოიცავს 100 ათასი ლარის (2022 წ.: 80 ათასი ლარი) ოდენობით საზღაურს 2023 წელს აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის.

გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფრეშმენტსი“


მმართველობის ანგარიშგება (გაგრძელება)

სამომავლო პერსპექტივები


კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აქციონერების სრული მხარდაჭერით და ძლიერი მშობელი საწარმოს დახმარებით, სს „იბერია რეფრეშმენტსი“ გააგრძელებს თავის საქმიანობას და ზრდას მომდევნო წლებში, მათ შორის ახალი პროდუქტების დანერგვას, სტრატეგიების განხორციელებას და საწარმოო ობიექტების დამატებას.

აუდიტის გასამრჯელო

პროფესიული მომსახურების გასამრჯელო მოიცავს 100 ათასი ლარის (2022 წ.: 80 ათასი ლარი) ოდენობით საზღაურს 2023 წელს აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის.


გურგენ არუთინიანი
გენერალური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი


ნინო მამისაშვილი
ფინანსური დირექტორი

2024 წლის 31 ივლისი

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

„ა“ დანართი

არააუდიტირებული არა-GAAP (ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპები) მაჩვენებლები

არააუდიტირებული არა-GAAP მაჩვენებლები

„ა“ დანართში წარმოდგენილია ინფორმაცია EBITDA-სა და დაკორექტირებული EBITDA-ს შესახებ, როგორც ქვემოთ არის მოცემული. ეს დანართი არ წარმოადგენს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილს.

ჩვენი გაცხადებული ფინანსური შედეგები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით, როგორც აღწერილია აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებულია ჩვენი გაცხადებული ფინანსური შედეგებიდან, მაგრამ არ არის მოთხოვნილი ფასს-ის მიერ და მიიჩნევა არა-GAAP ფინანსურ შეფასებებად.

დირექტორების აზრით, EBITDA და დაკორექტირებული EBITDA დამატებით სასარგებლო ინფორმაციას აძლევს აქციონერებს კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ. ეს მაჩვენებლები არ განიმარტება ფასს-ის მიერ და ამიტომ შეიძლება არ იყოს პირდაპირ შესადარისი სხვა კომპანიების არა-GAAP მაჩვენებლებთან. ეს მაჩვენებლები არ ჩაანაცვლებს და არც აუქმებს ფასს-ის მიხედვით გაკეთებულ შეფასებებს. წარმოდგენილი არა-GAAP ფინანსური მაჩვენებლები შეჯერებულია უახლეს გაცხადებულ ფინანსური ანგარიშგების მუხლთან – „მოგება დაბეგვრამდე“. EBITDA-ს და დაკორექტირებული EBITDA-ს გაანგარიშება ქვემოთ არის წარმოდგენილი:

	2023, არააუდიტი- რებული	2022, არააუდიტი- რებული
მოგება/(ზარალი) გადასახადით დაბეგვრამდე	359	7,406
წმინდა ფინანსური დანახარჯები	3,211	2,867
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	5,248	4,867
ზარალი / (შემოსულობა) უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	471	(5,428)
EBITDA	9,289	9,712
მარაგების მოძველების ანარიცხები	1,297	661
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(62)	439
დაკორექტირებული EBITDA	10,524	10,812